



ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის
დებულება

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) იურიდიული სამსახურის (შემდგომში - სამსახური) სამართლებრივ სტატუსს, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებულ სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ამ დებულებით, უნივერსიტეტის წესდებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელი სხვა შიდა დოკუმენტებით.

3. სამსახური ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) წინაშე და ასრულებს რექტორის მითითებებსა და დავალებებს.

მუხლი 2. სამსახურის ფუნქციები

სამსახური საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა შინაარსის სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტების, მათ შორის ხელშეკრულებების მომზადებას;

ბ) ხელს უწყობს უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულების გამართულ ფუნქციონირებას სამართლებრივი კუთხით;

გ) რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალების შემთხვევაში ამზადებს სამართლებრივ დასკვნებს სხვადასხვა შინაარსის კორესპონდენციასა და დოკუმენტაციას;

დ) დადგენილი წესით, მინდობილობის საფუძველზე უნივერსიტეტს წარმოადგენს სასამართლოში, ადმინისტრაციულ ორგანოებსა თუ კერძო სამართლის იურიდიულ პირებში, ამზადებს სარჩელს, შესაგებელს და სასამართლო პროცესზე წარსადგენ სხვა დოკუმენტაციას;

ე) რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მითითების შემთხვევაში ახორციელებს ხელშეკრულებებისა და ბრძანებების ვიზირებას;

ვ) განიხილავს უნივერსიტეტში შემოსულ განცხადებებს/საჩივრებს, ასევე ადმინისტრაციული ორგანოდან შემოსულ კორესპონდენციას. ამასთან, სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად მონაწილეობს აღნიშნული განცხადებების/საჩივრების განხილვაში;

ზ) ახორციელებს საკონსულტაციო ფუნქციას;

თ) უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებით ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გამართულ ფუნქციონირებას.

მუხლი 3. სამსახურის ხელმძღვანელობა

1. სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე.

2. სამსახურის თანამშრომელთა რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის საშტატო განრიგის შესაბამისად, ხოლო თანამშრომელთა უფლებამოსილებები, რომელთა მეშვეობითაც უზრუნველყოფილია ამ დებულებით სამსახურისთვის განსაზღვრული ფუნქციების შესრულება დგინდება დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებებითა და სამუშაოს აღწერილობებით.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულებაში ცვლილების შეტანა ხორციელდება მისი მიღებისთვის დადგენილი წესის შესაბამისად.

2. სამსახურის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ბრძანებით.